საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

გარისის ბრძოლა 1556

გარისის ბრძოლა 1556, ბრძოლა ქართველებსა და ყიზილბაშ დამპყრობლებს შორის ქვემო ქართლში, ისტ. სოფ. გარისთან. 1555 ამასიის ზავით ირანმა და ოსმალეთმა საქართველო დაინაწილეს. ქართლის მეფე ლუარსაბ I არ ცნობდა ამ ზავს და ბრძოლას განაგრძობდა – გაათავისუფლა თითქმის მთელი ქართლი. ირან. შაჰმა თამაზ I-მა ლუარსაბის წინააღმდეგ ბრძოლა განჯის ბეგლარბეგს–შაჰვერდი-სულთანს დაავალა. 1556 შაჰვერდი-სულთანი ქართლში შემოიჭრა. ქართველთა მცირერიცხოვანი ლაშქარი ლუარსაბ I-ისა და მისი ვაჟის სიმონის მეთაურობით მტერს გარისის სანახებში შეეგება. ბრძოლას ლუარსაბ I-ის ხანდაზმულობის გამო სიმონი სარდლობდა. ქართველებმა მტრის ჭარბი ძალები სასტიკად დაამარცხეს. გაქცეული მტრის ერთ-ერთ ჯგუფთან შეტაკებაში დაიღუპა ლუარსაბ I.

წყარო: გორგიჯანიძე ფ., საქართველოს ისტორია, წგ.:ქართლის ცხოვრება, ნაწ. 2, დ. ჩუბინაშვილის *გამოც.*, სპბ., 1854.

დ. კაჭარავა